ცნობის ფურცელი

№ 2402 შაბათი, 7 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2402

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-ბით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის ზიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერში ექვსი გვერდია ცალკე-№-რი ღირს 3 კაპ.

ლისაბედ დავითის ასული, ალექსი, ვასილ, დიმიტრი და ნინო ბაქრაძეები უწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისას, ხოლო უკანასკნელნი —საყვარელის მამის

ივანე გიორგის ძის ბაქრაძისას.

დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 7 თებერვალს; წირვა სამების ეკკლესიაში. ანაშვიდი პარასკევს 7 საათზე საკუთარ სახლში, დიდი ვანქის ქუჩა. (2—2)

თავადი თათარყან თენგიზის ძე დადეშკელიანი ძმებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ტირილი და მეორმოცე 1903 წ. 20 დეკემბერს გარდაცვალებულის

თავადის ლევან თენგიზის ძის დადეშკელიანისა

იქმნება 18 მარტს ამა 1904 წლისა. (1—1)

ლუკა მიხეილის ძე და ლიუბა პავლეს ასული ანანიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ გარდაცვალებასა დაუვიწყარის მათის ბიძის

ლუკა ივანეს ძე კარგარეთელისას

და სთხოვენ მობრძანდნენ $8^1/_2$ საათხედ დილით, 8 თებერვალს, გვამის განსვენებაზედ მამა დავითის მოედნიდან, № 2ა, კალოუბნის ეკლესიაში და იქიდან ვაგზალზედ. მიცვალებულს წაასვენებენ გორის მაზრის სოფ. კირბალში. პანაშვიდები: 7 თებერვალს 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—1)

ქართული თეატრი

საყველიერო რეპერტუარი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება შაბათს 7 თებერვალს

ბენეფისი მეორე ხარისხოვან არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსისა

სამშობლო

დრამა 5 მოქმ. ერისთავისა.

კვირას, 8 თებერვალს, უკანასკნელი წარმოდგენა.

ბენეფისი რეჟისორის თ. აკაკი წერეთლისა ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

თამარ ცბიერი

დრამა 5 მოქმ. აკაკი წერეთლისა.

ყველა წარმოდ.—ადგილების ფასი ჩვეულებრივია დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 7 თებერვალს, 1904 წ., გაიმართება ორი წარმოდგენა I. დილას:

ვინძორის ნათლიდედები

ოპერა 4 მოქ. ნიკოლაისა.

II. საღამოს რეჟისორის ბ. ბოგოლიუბოვის საბენეფისოდ

ტოსკა

ოპერა 3 მოქმ. პუჩინისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: არკიბაშევა, კალინინა, რენე-რადინა, სელიუკ, კარტავინა; ბ-ნნი: ფიგნერი, გლადკოვი, თულაშვილი, სელიავინი, ილიუშჩენკო, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი დილის წარმოდგენისა $12^1/_2$ საათზე, საღამოსი 8 საათზე.

კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 8 თებ. ორი წარ. დილით „კამორრა“, საღამოთი ნაწყვეტები სხვა-და-სხვა ოპერიდან.

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

ბანკის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ უძრავ მამულთა, დაგირავებულთა ბანკში, რომელთ პატრონებს არ შემოუტანიათ 1 ივლისის 1903 წლ. გადასახადი ფული.

ქალაქის მამულებზედ ვაჭრობა იქნება 10 თებერვალს.

დაბა და სოფლებისაზედ 12 თებერვალს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 27 თებერვალს.

შემოსატანი ფული მიიღება ვაჭრობის დღემდის ქუთაის ბანკის კასსაში, ტფილისში—აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ბათუმში—სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილებაში. 3—3

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბებიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი № 46.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა.

(0—5.—49)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საზარდეს, ქირურგია, ვენერ. სი ლ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ღ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

რ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები შეთანხმებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—15)

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. ობერ-შტალმეისტერმა გრაფ ორლოვ-დავიდოვმა წითელ ჯვრის საზოგადოებას მილიონი მანეთი შესწირა.—პატრიოტული შეწირულებანი: სიზრანის საბჭოს წითელ ჯვრისათვის—2000 მან. შეუწირავს, ჯარის-კაცების ოჯახებისათვის—1000 მან., სიზრანშივე ხელის მოწერით შეუკრებიათ—4000 მან., ბორისოგლებსკის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მოსამსახურეთ თავიანთ ჯამაგირის ერთი პროცენტი შეუწირავთ, ვიდრე ომის არ გათავდება, სუმის რეალისტებს—200 მან., ეკატერინოსლავის საბჭოს—50 ათასი მან., რჟევის საბჭოს 1,000 მანეთი, რჟევის ცეცხლის მქრობელ საზოგადოებას—500 მან., ეკატერინბურგისა და ბელენკოვის საბჭოს—1,000 მან., სუვალკის საქალაქო კასას—1,000 მან., დრამატიულ საზოგადოებას—500 მან. ორენბურგში გამართულ სამუსიკო საღამოდან შემოსული 100 მან., ჩემბარის საბჭოს—1,000 მ., ვლადიკავკაზის საბჭოს—5,000 მან., ვარშავის რუსის საზოგადოებას—10 ათასი მან., ამავე საზოგადოებამ დაადგინა, რამდენიც ახალი სათამაშო ქაღალდი გაიხსნება, მოთამაშეთ იმდენი 10 შაური გამოერთოს სამხედრო საქიროებისათვის, კაზანის საგუბერნიო საერობო კრებას 300 ათასი მან. სამხედრო საჭიროებისათვის შეუწირავს და 100 ათასი მან. დაჭრილთა დასახმარებლად; კაზანის გამგეობამ—1,000 მან., შახმატის კლუბმა—1,000 მან., სოხუმის საბჭოს—10 ათასი მან., ვიატკის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ 1903 წლის დივიდენდის ერთი პროცენტი შესწირა.

კურსკი. სამაზრო ქალაქებიდან ამბები მოდის, ქალაქისა და სოფლის ხალხი ყველგან მრავალ პატრიოტულ მანიფესტაციასა ჰმართავსო. სოფლის საზოგადოებანი დიდ ფულსა სწირავენ სამხედრო საჭიროებისათვის.

კიევი. ბოლგართა და სერბთა ახალგაზდობის სურვილით პარაკლისი გადაიხადეს რუსეთის მხედრობის გამარჯვებისათვის. გზებზე მოსამსახურეებმა დაადგინეს, ვიდრე ომი არ გათავდება, ჯამაგირის ერთი პროცენტი სამხედრო საჭიროებისათვის გადავდოთო. მოსამსახურეთა რიცხვი—40 ათასამდე ადის. იმედია, ყოველთვე 15 ათას მანეთამდე შეიკრიბება.

სიმბირსკი. თავად-აზნაურობის წინამძღოლის მეუღლის თაოსნობით ქალთა წრე არსდება მეომარ ჯარის-კაცთა ოჯახების დასახმარებლად.

კურგანი. არსდება კომიტეტი ღარიბ სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახების დასახმარებლად.

მოსკოვი. ვაჭართა კლუბმა დაჭრილთათვის—50 ათასი მან. გადასდო. ფლოტისათვის 40 ათასი მან. შეკრიბეს. იმედი აქვთ, რომ საგუბერნიო საერობო კრება სასანიტარო რაზმის მოსაწყობად—100 ათას მან. შესწირავს.

აკმოლინსკი. შესანიშნავია ენტუზიაზმი. საბჭომ 1,000 მან. შესწირა წითელ ჯვრის საჭიროებისათვის. პარაკლისზე დამსწრეთ 610 მან. შეკრიბეს.

ვიტებსკი. ვიტებსკის ებრაელთა საზოგადოების წარმომადგენელნი ფულსა ჰკრებენ წითელ ჯვრისათვის. გუბერნატორს კიდეკაც წარუდგინეს 2,000 მან.

კობე. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იაპონიის ნაღმიანი გემები კვირა დღეს, დილით, ხელ-ახლად დაეცნენ პორტ-არტურის ნავთ-სადგურში მდგომ რუსის სადარაჯო გემს, აგრეთვე ნავთ-სადგურ გარედ მდგომ გემს ნაღმები ესროლეს. იაპონიის გემები უვნებლად გადარჩნენ.

ალჟირი. გემი „ალმაზი“ აქედან ზღვაში გავიდა.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა სეულიდან დეპეშით შეატყობინა ამერიკის მთავრობას, კორეის მთავრობამ ნავთ-სადგური იჩჟუ საერთაშორისო ვაჭრობისათვის გახსნაო.

სან-ლუი. რუსეთს განზრახვა აქვს, მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა აღარ მიიღოს. იაპონიის წარმომადგენელმა მაშინვე სთხოვა გამოფენის კომიტეტს, რუსეთისათვის დანიშნული ადგილი იაპონიის განყოფილების ადგილს მიუმატეთო.

ტოკიო. („რეიტერის სააგენტო“) ცნობა მოვიდა, 1 თებერვალს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა ხელ-ახლად მიიტანეს პორტ-არტურზე იერიში. დიდი ქარ-ბუქი იდგა; ამიტომ ნავთ-სადგურის შესავალთან მისვლა მხოლოდ ორმა იაპონელმა გემმა მოახერხა; ამ გემებმა ცალ-ცალკე მიიტანეს იერიში. ნაღმიანი გემი „ასაგირი“ დილის 3 საათზე მივიდა. ციხიდან და რუსის სადარაჯო გემებმა ზარბაზნები დაუშინეს. „ასაგირი“-მ რამდენიმე ნაღმი გაისროლა, ისე მედგრად იბრძოდა, რომ რუსის გემებს უკან დაახევინა. რა ზიანი მიეცათ რუსის გემებს, ჯერ არ ვიცით. ნაღმიანი გემი „ხაგატორი“ დილის 5 სათზე მოვიდა და ნავთ-სადგურის შესავალში რუსის ორ გემს შეეტაკა. ამ გემების სახელი არ ვიცით, ერთს გემს „ხაგატორიმ“ ნაღმი ესროლა.

ყაზანი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ პარაკლისი გადაიხადა და იმღერა ჰიმნი, რომელიც განმეორებულ იქმნა ხალხის თხოვნით. დაადგინეს ხელმწიფე იმპერატორს დეპეშით გაუგზავნონ ადრესი, რომელშიაც გამოთქმული იქნება უქვეშევრდომილესი გრძნობანი.—ხელმწიფე იმპერატრიცის მი-

მართ მირთმეულს ყაზანის თავად-აზნაურობის ადრესში გამოთქმულია სურვილი შეადგინონ სასანიტარო რაზმი ყაზანის თავად-აზნაურობის სახელობისა. გადადებულია ამ რაზმის გასაგზავნად 4,000 მანეთი და ყოველ თვიურად გაეგზავნება 3000 მანეთი; აგრეთვე თხოულობენ საგენერალო შტაბის აფიცრებს ნება მიეცეთ თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში წითელის ჯვრის სასარგებლოდ ლექციები იკითხონ შორეულ-აღმოსავლეთისა, მტრის ძლიერებისა და ეხლანდელ საქმეთა ვითარების შესახებ.

სამარა. გუბერნატორის მეუღლის სადგომში დაიწყო საავადმყოფოსათვის საჭირო მასალის დამზადება.

ნოვოჩერკასკი. დონის ოფიცრები თავის ნებით ჩაეწერნენ შორეულ-აღმოსავლეთში წასასვლელად. 20 ადგილზე 70-ზე მეტი კაცი ჩაეწერა.

შანჰაი („რეიტ. სააგ.“). ჩინეთის მთავრობამ წინადადება მისცა რუსეთის საკანონერო გემს „მანჯურ“-ს შანჰაის ნავთ-სადგური დასტოვეო. გემი ჯერ მაინც ადგილიდან არ იძვრის. გემის უფროსი ამბობს, ადმირალის ბრძანებას ველოდებიო.

ტიან-ძინი. („რეიტ. სააგ.“) რუსების ცნობებით, ხარბინსა და მთელს მანჯურიაში ყველა იაპონელები დააპატიმრეს, რადგან მათ შორის ასზე მეტი ჯაშუში აღმოჩნდა. ამათში სამოც კაცს იაპონიის მთავარ-შტაბთან ჰქონია კავშირი. ქალები და ბავშვები გაანთავისუფლეს.—ორმოც-და-ათი საგანგებო მატარებელი ჩინეთის ჯარებით საზღვრისაკენ წავიდა. ამ ჯარების უფროსია ტაოტაი ვანგი. ჯარი გაჩერდება ციანანში. შემდეგ ათი ათასი ჯარის კაცი მაიუკუნის წინამძღოლობით შახოცნას წავა.

ტოკიო. ოფიციალურის წყაროს ცნობით, იაპონიის ნაღმიანი გემები 31 იანვარს საშინელის ქარ-ბუქის დროს დილის ორ საათსა და 30 წუთს პორტ-არტურს მიუახლოვდნენ. გემი „ასაგირ“-ი, რომელსაც რუსის ციხიდან და ესკადრიდან ზარბაზნები დაუშინეს, პირდაპირ გაემართა რუსეთის გემებისაკენ და ნაღმი ესროლა.—ხმა გავრცელდა, რომ რუსეთის ჯარი კორეის საზღვარს გადავიდაო.

ტიან-ძინი („რეიტერის სააგენტო“). კერძო ცნობებით, რუსეთის ფლოტი პორტ-არტურიდან ზღვაში გავიდა.

ხაკოდატე („რეიტერის სააგენტო“). იაპონიის კრეისერმა „თაკაომ“ დაატუსაღა რუსეთის სავაჭრო გემები „ბობრიკ“ და „ნადეჟდა“, რადგან დანიშნულს ვადაზე (სამს თებერვალს) იაპონიიდან არ წავიდნენ.

პეტერბურგი. უმაღლესი დეპეშა, ხუთს თებერვალს მიღებული ხელმწიფე იმპერატორის მიერ შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „ბედნიერება მაქვს თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენო 27 იანვარს პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის დაწვრილებითი ამბავი. ნაღმიან გემებით ვერაგულად მოტანილ იერიშის მეორე დღეს, დილის ათ ნახევარ საათზე, პორტ-არტურის წინ გაჩნდა იაპონიის ფლოტი, 16 გემისაგან შემდგარი. ფლოტის მოახლოვება შენიშნეს ნაპირის სადარაჯო სადგურებიდან და აგრეთვე ჩვენის ესკადრის გემებიდან. ამ ესკადრას უფროსობდა ვიცე-ადმირალი სტარკი; უფროსს ფლაგმანად იყო კონტრადმირალი თავადი უხტომსკი; ესკადრას შეადგენდა ხუთი ჯავშნიანი გემი. ხუთი კრეისერი პირველის და მეორე რანგისა და თხუთმეტი საესკადრო ნაღმიანი ნავი. ყველა ეს გემები საომრად გამზადებული იყვნენ და გარეთა რეიდზე იდგნენ. იმავ წამს სანაპირო ბატარეები დაემზადნენ მტრის გასამკლავებლად და ჩვენი ესკადრა დაიძრა სამხედრო წესით. იაპონელთა პირველს სროლაზედვე ჩვენმა ფლოტმა და ბატარეებმა მარჯვედ გასცეს პასუხი. მტერი განსაკუთრებით ესროდა ჩვენის ესკადრის გემებს და ბატარეის მეხუთმეტე და მეთერმეტე ნომრებს. შემდეგ ძლიერი სროლა აუტეხეს დანარჩენს ბატარეებსაც, უმთავრესად-კი მე-17-ე და მე-18-ე ნომრებს. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს ჯავშნიანმა გემებმა: „პეტროპავლოვსკ“-მა—ფლაგი ვიცე-ადმირალის სტარკისა, ხოლო უფროსი პირველ რანგის კაპიტანი იაკოვლევი; „სევასტოპოლმა“—უფროსი პირველის რანგის კაპიტანი ჩერნიშევი; „პოლტავამ“—პირველის რანგის კაპიტანი უსპენსკი; „პერესვეტმა“—ფლაგი კონტრადმირალის უხტომსკისა, უფროსი—პირველის რანგის კაპიტანი ბოისმანი; „პობედა“-მ—კაპიტანი პირველის რანგის ზაცარენნი; პირველის რანგის კრეისერებმა: „ბოიანმა“ პირველის რანგის კაპიტანი ვირენი; „დიანა“-მ—პირველ რანგის კაპიტანი ზალესსკი; „ასკოლდ“-მა—პირველის რანგის კაპიტანი გრამაჩიკოვი; მეორე რანგის კრეისერებმა: „ბოიარინ“-მა—კაპიტანი სარიჩევი; „ნოვიკ“-მა—კაპიტანი ესსენი. მიიღეს აგრეთვე მონაწილეობა ჯავშნიამა გემებმა: „ცესარევიჩ“-მა—კაპიტანი პირველის რანგისა გრიგოროვიჩი. „რეტვიზანმა“—პირველის რანგის კაპიტანი შჩესნოვიჩი; პირველის რანგის კრეისერმა „პალლადამ“—პირველ რანგის კაპიტანი პოსოვიჩი; (ეს სამი გემი წინა დღის იერიშის დროს იყო დაზიანებული) სატრანსპორტო გემმა „ანგარამ“—მეორე რანგის კაპიტანი სუხობლინი; საესკადრო ნაღმიანმა გემებმა, რომელთა რაზმებს უფროსობდნენ კაპიტნები მატუსევიჩი და გინტერი, სახელდობრ: „ვნიმატელნი“—მეორე რანგის კაპიტანი სიმონი, „ვლასტნი“—ლეიტენანტი კარპოვი, „ბოევოი“—მეორე რანგის კაპიტანი ელისეევი; „ბეზსტრაშნი“—მეორე რანგის კაპიტანი ციმერმანი; „ბეზპოშჩადნი“—მეორე რანგის კაპიტანი ლუკინი; „ვნუშიტელნი“—ლეიტენანტი პადუშკინი“; „ვინოსლივი“—ლეიტენანტი რიიტერი; „გროზოვოი“—ლეიტენანტი შელტინგი; „როზაშჩი“—მეორე რანგის კაპიტანი სვიმონოვი; „რეშიტელნი“—ლეიტენანტი კორნილოვი; „სილნი“—ლეიტენანტი ხოდოროვიჩი, „სტერეგუშჩი“—ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი მე-2-ე; „სტოროჟევოი“—კაპიტ. კიტკინი 1; „სმელი“—კაპიტანი შულცი; „სერდიტი“—ლეიტენანტი კუზმინ-კარავაევი I. ყველა ნაღმიანი გემები ბრძოლის დროს ესკადრის მარჯვენა მხარეს იდგნენ და ელოდნენ ბრძანებას მტერზე იერიშის მიტანის შესახებ. ყველა სანაპირო ბატარეიებს უფროსობდა კვანტუნის ციხის არტილერიის უფროსი, გენერალ-მაიორი ბელოვი. ბრძოლის შედეგის გამორკვევა ჯერ ძნელია, მაგრამ ჩვენის გემების მიერ თვალ-ყურის დევნიდან შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მტრის ზოგიერთი გემები დაზიანდნენ. ამით აიხსნება მათ მიერ ბრძოლის შეწყვეტა, თუმცა მათ ჩვენზე გაცილებით უფრო მეტი ძალა ჰქონდათ. იმ უფროსებმა, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს, საქმის ვითარება დაწვრილებით შემატყობინეს; აქედან სჩანს, რომ მეზღვაურები და არტილერისტები მამაცად, მხნედ და შესანიშნავ წეს-რიგით მოქმედებდნენ; ამის გამო მე საჭიროდ ვცანი, თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის სურვილისამებრ, შემდეგი ჯილდოები დამენიშნა: ექვს-ექვსი სამხედრო ნიშანი მე-4 ხარისხისა ერთ როტას I და II რანგის გემებისას, რომელთაც 200 კაცზე მეტი ჰყავთ, ოთხ-ოთხი სამხედრო ნიშანი II რანგის გემების თითო როტას, თითო ნიშანი თითო საესკადრონო ნაღმიან გემებს და თითო ნიშანი „ზოლოტოი გორა“-ს სადარაჯო რაზმის ჯარის-კაცებს, რომელთაც მტრის სროლას ყურადღება არ მიაქციეს და ომი განაგრძეს. ბატარეიებს № 15 ოთხი ნიშანი, № 13 სამი და მე-7 როტის კანონირს ნიკიფორ ალეხინს ამისთანავე ნიშანი იმისთვის, რომ იგი თუმცა თავში დაიჭრა, მაგრამ იარის შეხვევის შემდეგ ისევ ჯარში დაბრუნდა. ჩვენი ზარალი: ესკადრაზე 5 აფიცერი დაიჭრა, 14 ჯარის-კაცი მოკვდა და 69 დაიჭრა; ციხის გარნიზონში 1 ჯარის კაცი მოკვდა, მძიმედ დაიჭრა 1 და მსუბუქად 5. ზემოხსენებულს თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის ყოვლად მოწყალე კეთილ გონიერებას მოვახსენებ და ბედნიერი ვარ უქვეშევრდომილესათ მოგახსენოთ, რომ შორეულ-აღმოსავლეთის მეზღვაურნი და ხმელეთის ჯარი აღფრთოვანებული არიან მხურვალე სურვილით პირდაპირ დაუხვდნენ თავხედ მტერს, რათა პატიოსნურად შეასრულონ თავისი მოვალეობა ძვირფას მპყრობელ ხელმწიფისადმი და მტკიცედ და შეურყევლად დაიცვან პატიოსნება და საყვარელ სამშობლოს დიდება“.

პორტ-არტური. გამოცხადებულია ნამესტნიკის ბრძანება, რომ ფლოტის დაბალ ხარისხის მეზღვაურთ უმაღლესად სამხედრო ნიშნები ებოძათ:—ექვს-ექვსი ნიშანი თითო როტას I და II რანგის იმ გემისას, რომელსაც 200-ზე მეტი მეზღვაური ჰყავს, ოთხ-ოთხი ნიშანი თითო როტას II რანგის გემებისას, თითო ნიშანი ნაღმიან გემებს და თითო „ზოლოტაია გორა“-ს სადარაჯო რაზმის ჯარის-კაცებს, რომელნიც მტრის ძლიერ სროლას არ შეუშინდნენ და ბრძოლა განაგრძეს.—„რეიტერის სააგენტო“-ს მიერ გადმოცემული ამბავი, ვითომ ინკოუს მიდამოებში ჩინეთის ბრბოებმა ტელეგრაფი
თულები დასწყვიტეს და [illegible] ხმელ
გზა შეკრული იყოს, ბოროტად შეთხ
ამბავია.—პეკინიდან ამბავი მოვიდა, იაპ
მანჯურიაში შეიტანა აურებელი მას
რუსეთის ქაღალდის ყალბი ფული გა
თებლად, რათა რუსეთის ხაზინას ზარ
მიაყენოსო.—გირინისა და ციციკარის
რობა ჩინელებს ურჩევენ, წყნარად იყ
და იაპონელთა მიერ გავრცელებულს
კეთილ სინდისიერ ცნობებს ნუ ენდობ

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). გეის
ჩინეთის ნეიტრალიტეტის დაცვის შეს
იაპონიამ თანხმობა გამოუცხადა. მან
სანეიტრალო ადგილს არ ეკუთვნის. იაპ
ნიამ განაცხადა, თუ რუსეთმა ჩინეთის
ტრალიტეტი დაარღვია, ჩვენც რუსეთს
შესაფერ პასუხს გავცემთო.

ჩემულპო. ჩემულპოსთან ზღვაზე მ
დარ ბრძოლაში კრეისერ „ვარიაგ“-ისა
საკანონერო ნავ „კორეეც“-იდან დაიღ
456 კაცი; მათ შორის 17 აფიცერია. გად
ჩენილები საფრანგეთის კრეისერ „პასკალ“
შანჰაიში წავიდნენ. მათ შორის 265 კა
(ამ რიცხვში 15 აფიცერია) კრეისერ „
კალ“-მა, ინგლისის კრეისერმა „ტალბოტ
და იტალიის კრეისერმა „ელბა“-მ გად
ჩინეს.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). საზღვაო
პარტამენტს საბუთი აქვს იფიქროს, რო
რუსეთის გემი, რომელიც 11 თებერვა
ნაღმიან ნავმა „გაგატორი“-მ დააზიანა, კრე
სერი „ბოიარინ“-ი იყო.

პორტ-არტური. ნაგასაკში იაპონელ
დაატყვევეს რუსეთის გემები მანჯური
„შილკა“ და „მუკდენ“-ი. ინგლისელებსა
იაპონელებს რუსეთის ზარალი უხარია
და ცრუ ცნობებს ავრცელებენ. გერმანელე
რუსეთის სადღეგრძელოს სვამენ.—ჯავშნი
გემების „ცესარევიჩ“-ისა, „რეტვიზან“-ი
და კრეისერ „პალადა“-ს შეკეთება ძალი
კარგად მიდის.

პორტ-არტური. მანჯურიაში მშვიდობი
ნობაა. ეტყობა, ორივე სახელმწიფო ჯარებ
აგროვებენ. გუშინ ზღვაში ტალიენვანი
[illegible]
მალე მიჰქრნენ.—ნაღმიან იერიშით და
ნებულ გემების შეკეთება კარგად მიდი
ნამესტნიკმა თვითონ დაათვალიერა ბა
რეიები, მადლობა გადაუხადა არტილე
რისტებს და 27 იანვარს მომხდარ ბრძო
ლისთვის საჩუქრები დაურიგა. ცნობ
არის, რომ იაპონიის ფლოტი ორ ნა
წილად გაიყო; ერთი ნაწილი ჩემულპოსთ
ფუსანში ჯარის გადმოსხმას იცავს, მეორ
ნაწილი იცავს იაპონიის ნაპირებს ვლადივო
სტოკის ესკადრის თავდასხმისაგან.—მანჯუ
რიის [illegible] ხალხით ჰყიდიან ცხენებსა
სურსათს.—იაპონიიდან იტყობინებიან, იქ პა
ტრიოტული აღტაცება არა სჩანს; ეტ
ყობა, რომ ინგლისელთა და ცოლ
ურების მიერ გამოწვეული ომი არ მოსწო
ცხოვრებთა უმეტესობას, რომელსაც ომ
ფინანსიური ცუდი შედეგი დააწვება.

ფელეტონი

მივიწყებული მთიულეთი

(დასასრული*)

ვისაც კი უმოგზაურნია საქართველოს სამხედრო გზით ანანურიდან გუდაურამდე, ნამეტნავად ამ 5—6 წლის განმავლობაში, ის ადვილად მიხვდება საქმის ვითარებას. თუ მიუქცევია ყურადღება მთიულებით დასახლებულ მთებისთვის, ადვილად მიხვდება, რამდენად ინტენსიური უნდა იყოს მცხოვრებთა შრომა, რომ გამოჰგლიჯონ რამე იმ ძუნწს ბუნებას და ნახევრად მაინც დააკმაყოფილონ თვისი ადამიანური მოთხოვნილებანი. მთიულები სთესენ პურს, მომეტებულად ქერსა და სვილს (ყველას მოეხსენება, რომ ზამთარი მთაში ადრე იწყება და გვიან თავდება, ამის გამო ქერი და სვილი შედარებით უფრო ბევრი მოჰყავთ, რადგანაც ადრე შემოდის). მაგრამ მარტო დათესით რა გამოვა, თუ სეტყვა ჯეჯილსვე მოსპობს ან ნიაღვარი ისე ჩამორეცხავს კაცს ეგონება პატარ-პატარა რუებით არის დაყოფილი სახნავი მიწებიო, ან არა და მთებში სათიბებ-ძირს სამკლად მომზადებული ქერ-სვილი დაჰყვება თოვლქვეშ და საწყალი მთიული სახატედ და სასტუმროდ მოყვანილ „წმინდას“ ათავებს 3-4 თვეში, მერე იღებს ვალს კავკავიდან სიმინდის მოსატანად ან ქვას ამტვრევს სამხედრო გზაზე და ამნაირად სახლსაც უძღვება და სხვა ხარჯებსაც იხდის.

გარდა ამისა მთიულეთის პატარ-პატარა თემებში (თითო სოფელი თითო თემია) სუფევს კოლლექტიური მიწათ-მფლობელობა. თითო თემი სათემო გვარის გარდა დაყოფილი არის წვრილ-წვრილ გვარებად პაპების რიცხვის კვალობაზე. მაგალ., ამა თუ იმ სოფელში ამ რამდენისამე წლის წინად 5 ძმა შეადგენდა 1 თემს. ამათ გაყოფილი ჰქონდათ სახნავი მიწები ხუთად. დღეს კი ამ ხუთის ძმის შვილები და შვილის-შვილები შეადგენენ ისევ ერთ თემს, ისევ ხუთ გვარს მაგრამ ისევ ხუთ კერას კი არა, 23—25 კერას. ასე რომ ხალხი გამრავლდა, სახნავი მიწები კი შემცირდა მცხოვრებთა შედარებით; თუ ხუთი ოჯახისთვის წინად 30—40 დესეტინა მიწა მეტიც იყო სახნავ-სათესად და საძოვრად, 23—25 ს ვეღარ ჰყოფნის დღეს. ეს კიდევ არაფერი. ოცდასამს ოჯახში მხოლოდ 3 კომლი მოიძებნება, რომელიც ცოტად თუ ბევრად სამყოფ სახნავ-სათესზე არის. დანარჩენები უმამულობით დიდ გაჭირვებაში არიან და დღეს თუ ხვალ მათ არ ასცდებათ სრულიად გაპროლეტარება. რა პროცესსით მოხდა ასეთი უთანასწორობა კოლლექტიურ მიწათ-მფლობელობაში? აი როგორ: ამა თუ იმ თემის ხუთ ძმაში, ან ერთ ან ორ ძმას თითო მემკვიდრე დარჩათ, ამათაც თუ თითოს ან ორ-ორ ვაჟიშვილს გადასცეს თავისი სამკვიდრებელი, რომელიც ჯერ ძმების გაყრით არ განაწილებულა, ამ დროს სხვა ძმებმა სამ-სამი და ხუთ-ხუთი მემკვიდრე დაზარდეს, რომელნიც გაიყარნენ და გაიყვეს მიწებიც. ამათი შვილები იმეორებენ ასეთს დანაწილებას სანამ სახნავ მიწების შემდეგი დანაწილება შეუძლებელი იქმნება, ე. ი. სანამ პროლეტარიატის სიაში არ ჩაიწერებიან.

ერთ სოფელში მიწების თანასწორად დაყოფა მოინდომა მცხოვრებთა უმრავლესობამ. ვისაც მეტი მიწები ეჭირა, ეწყინა ეს და დატვირთულებმა მიირბინეს მამასახლისთან „წასაცხებად“. მოწინააღმდეგეთ იცოდნენ ამ მამასახლისის მოხელეების ოინი და ეცნენ იმათკენ დასაქრთამად კი არა, „პატივის საცემად“. მაგრამ, ალბად, პირველის საცხებელი უფრო ბევრიც იყო, მსუქანიც და შემდეგაც მოსალოდნელი. მოსტყუვდნენ. მიწები ამ სოფელში გასაყოფია ეხლაც, რის გამო იქ მოხდა კაცის კვლა და, მე მგონი, კიდევ გამეორდება ასეთივე უბედურ
ამის ნიშნები უკვე არის. მაშასადამე მთიულ
თა მიწათ-მფლობელობასა და მეურნეობა
დიდი უწესრიგობა ყოფილა. წინაპრების თან
სწორად დაყოფილი მიწა აღარ გაყოფილა (ამ
სთანა მაგალითებს ვხედავთ მთიულეთის უმრავ
ლესს სოფლებში), ე. ი. დარჩენილა „უპ
რედელოდ“ რის გამო 2-3 კაცი მთიუ
სოფლებში გამხდარა მემამულედ, დანარჩე
ნი უმამულობით იმათ ნახევარ-მონად. რო
წარმოვიდგინოთ, რა ყოფაშია პირველ
ეკონომია, ადვილად დავინახავთ, რა სურა
უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელის ცხოვ
რება. თუ პურის მოსავლით განთქმულ ქა
თლში დღიური მიწა საშუალო რიცხვი
იძლევა 10 კოდ ხორბალს, მთიულეთში
იგი მოგვცემს ამავე რიცხვით სამს კოდ
(მთიულეთის კოდი 3 ფუთზე ნაკლებია); თუ
ამას დაუმატებთ სტიქიონურ ძალების
მიყენებულ ზარალს მოსავლისას მთიულ
ეთში და მივიღებთ მხედველობაში სახნავ
წების შესვენებას თითო წლობით მაინც
ურომლისოდაც მთიულეთის ნიადაგი და
კარგავდა ნაყოფიერებას, მაშინ ჩვენთვის
ცხადი იქნება მამულით მდიდარ მთიუ
გლეხის ნაკლულევანება და მცირე მამუ
ლიანის უკიდურესობა. ის, რომ პატ
რიარქალური ტეხნიკა, როგორც სახ

---

*) იხ. „ცნ. ფ. ცელი“ № 2392.

პორტ-არტური. ამბავი, ვითომ მატსმაის რუსებმა ზარბაზნები დაუშინესო—არ მართლდება.

ბრძოლის შემდეგ პორტ-არტურში ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)
6 თებერვალი

პეტერბურგი. რადგან გარემოებები გაიხლართა და მრეწველებმა და ვაჭრებმა სანლუის გამოფენაზე ექსპონატების გაგზავნაზე უარი განაცხადეს, ამიტომ რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა, ამ გამოფენაზე მონაწილეობა არ მიიღოს.

სეული. იაპონია აპირებს რკინის გზით შეაერთოს სეული და ნავთსადგური ვი-ჯიუ მდინარე იალუს შესართავთან.

პარიზი. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ს სეულიდან ატყობინებენ, იაპონელებმა დაიჭირეს რუსეთის სატრანსპორტო გემი, რომელსაც კორეის ემისარი ნამესტნიკთან მოსალაპარაკებლად მიჰყავდა.

ლონდონი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა, რომ 13 თებერვალს იაპონიის ფლოტილია, რომელიც ნაღმიან ნავებისაგან შესდგებოდა, საშინელ ქარბუქში პორტ-არტურის წინააღმდეგ გავიდა. მეორე დილას ნაღმიან ნავმა „აფაგარ“-მა რუსების ძლიერ სროლას არ დააჰხედა და ერთ სამხედრო გემს ნაღმი ესროლა. ნაღმიანი ნავი „ჰაიტორი“ ნავთ-სადგურის შესავალს მიუახლოვდა და ორი სამხედრო გემი რომ დაინახა, ნაღმი ესროლა. ნაღმი რომ აფეთქდა, ნავი უვნებლად ესკადრასთან დაბრუნდა.—გაზეთ „დეილ-მეილ“-ს ატყობინებენ, ორშაბათს ნავთსადგურ ნაგასაკის შესავალი შეჰკრეს, და ნაპირები ნაღმიან ზღუდეთი გააძლიერესო. ჰფიქრობენ ნაგასაკი დანიშნონ უმთავრეს ადგილად, საიდანაც კორეასა და მანჯურიაში სურსათი უნდა გაიგზავნოს. იქ მყოფ სატრანსპორტო გემებზე 15—20 ათასი ჯარის კაცი სხდება და გემებიც დაუყოვნებლივ გადიან ნავთ-სადგურიდან. გაზეთ „მორნინგ ლიდერ“-ში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა ტიან-ძინიდან, სადაც ნათქვამია, რომ იაპონიის სატრანსპორტო გემები, რომელზედაც 100.000 კაცამდე იყო, დალნის მიუახლოვდნენ და აპირობდნენ ნახევარ კუნძულს მოულოდნელად ორივე მხრიდან მოევლოთ და პორტ-არტურის გზა დაეჭირათ.

ჯარები დანიშნულს ადგილას ხუთშაბათს მივლენ. გაზეთ „სტანდარტ“-ს ტიან-ძინიდან ამბავი მოუვიდა, რუსეთის ესკადრა პორტ-არტურიდან წავიდაო. გაზეთ „ტაიმს“-ს სეულიდან დეპეშით ატყობინებენ, კორეამ თავის ტელეგრაფი იაპონელებს დაუთმოო. რუსეთის ჯარი ანდუნში მოვიდა.

შანჰაი. გემი „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის მეზღვაურები საფრანგეთის კრეისერით მოვიდნენ.

სეული. გუშინ რუსეთის 3.000 ჯარის კაცი მდინარე იალუზე მოვიდა.

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა, ამერიკის წინადადებას, ჩინეთის ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ—მივიღებთო. მანჯურია, რომელიც რუსებს უჭირავთ, სანეიტრალო ადგილად არ ჩაითვლება.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)
6 თებერვალი

შანჰაი. („სტეფანის სააგენტო“). მოვიდა საფრანგეთის კრეისერი „პასკალ“-ი, რომელმაც კრეისერ „ვარიაგ“-ისა და საკანონერო ნავ „კორეეც“-იდან გადარჩენილი მეზღვაურები მოიყვანა. ეს გემი აქედან საიგონს წავა, სადაც რუსი მეზღვაურები ომის გათავებამდე უნდა დარჩნენ. „პასკალ“-ი შანჰაიდან წაიყვანს აგრეთვე საფრანგეთის აფიცრებს, რომელნიც, როგორც ამბობენ, სეულს უნდა წასულიყვნენ საფრანგეთის საელჩოს დასაცველად.

კუსუნი. აქ მოელიან ინგლისის კრეისერს „ტალბოტ“-ს, რომელმაც რუსები ჰონკონგში უნდა მიიყვანოს.

ბერლინი. პრესა არჩევს რუსეთის მთავრობის განცხადებას ომის შესახებ. გაზეთებს განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნიათ ცნობა, რომ ხმელეთზე ბრძოლა ძალიან გვიან დაიწყება.

კიუსტენდილი. შესდგა კომიტეტი ბოლგარელ ვოლონტერთა, რომელთაც შორეულ-აღმოსავლეთში სურთ წასვლა. ბოლგარიის სამხედრო აგენტი პეტერბურგში მთავრის ბრძანებით მივიდა რუსეთის მხედრობის მთავარ შტაბში, შორეულ-აღმოსავლეთს, რათა თვალ-ყური ადევნოს საომო მოქმედებას.

კამიშლოვი. სამხედრო უფროსის კანცელარიაში ბევრი მოქალაქე და გლეხი მოდის, რომელთაც შორეულ-აღმოსავლეთში ვოლონტერებად წასვლა უნდათ.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)
6 თებერვალი

პეტერბურგი. გემ „ვარიაგ“-ის უფროსის ცოლმა, რუდნევისამ შანჰაიდან თავის ქმრისაგან დეპეშა მიიღო, მე და „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის ყველა აფიცრები ცოცხლები ვართო.

პორტ-არტური. მოვიდა იმიერ-კავკასიის მემამულე სალაბეკ სადიკბეგოვი, რომელიც ნამესტნიკს სთხოვს, ბრძოლის ველზე 5.000 ქურთთა ცხენოსანს მოვიყვან, მხოლოდ იქიდან აქ გადმოსვლა თქვენ ხარჯზე იყოსო. სადიკბეგოვის თხოვნა არ შეიწყნარეს და უთხრეს, ხელმწიფეს მიჰმართეთო.

სეული. მთავრობამ გამოაცხადა დეკრეტი, სადაც ნათქვამია, რომ იაპონელთა ჯარი კორეელებისაგან ნაყიდ საქონელში მისცემენ ახალნაირ ქაღალდის ფულს, რომელიც ომის გათავების შემდეგ ოქროს ფულზე გაიცვლება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისელ მეზღვაურის აზრი იაპონიის სამხედრო მოქმედებაზე. ინგლისელი მეზღვაური ჯონ ნორმანი ლიბერალურ გაზ. „დაილი ნიუს“-ში იაპონიის სამხედრო პლანს არჩევს და, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: ეჭვი არაა, იაპონელები იმ აზრით დაეცნენ პორტ-არტურს, რომ რუსის ფლოტს იაპონიის ჯარისთვის კორეაში გადასვლა ველარ დაეშალა. ეჭვი არაა, აგრეთვე, რომ სწორედ იმ დროს, როცა ადმირალი ტოგო პორტ-არტურს დაეცა, იაპონიის ჯარი ფუზანსა, მოკპოსა, კუნზანსა, ჩემულპოსა და კაზანში გადადიოდა. ყველა ამ ადგილებს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. თუ იაპონელები ამ ადგილებს ხელში ჩაიგდებენ, თითქმის მთელი კორეია იმათი გახდება. იაპონელები-კი თავდაპირველად სწორედ კორეის დაჭერას ეცდებიან. კუნზანს ახლო დიდი ყურეა; სეულ-ფუზანის რკინის გზაც იქვეა. კაზანიც მშვენიერი ადგილია ჯარის გადასაყვანად. თუ იაპონელები ამ ადგილს დაიჭერენ, მერე სეულ იაჩჟოუს გზასაც ხელში ჩაიგდებენ. მაგრამ ყველა ჩამოთვლილ ადგილს ტაკუშენი სჯობია. ტაკუშენი უფრო ჩრდილოეთით მდებარეობს და თუ იაპონიის ჯარი ტაკუშენში გადასვლას მოახერხებს, მაშინ იაპონელები მდინარე იალუსა და მანჯურიის რკინის გზის შუა ჩადგებიან და რუსის ჯარს გზას შეუკრავენ. ნორმანი დარწმუნებულია, რომ იაპონელები, თუ ჯერ არ გადასულან, ამ მოკლე ხანში მაინც უსათუოდ გადავლენ ტაკუშენშიო. ინგლისელი მეზღვაური ასე განაგრძობს: „თქვენ ჰნახავთ, რომ ჩემი ნათქვამი მალე გამართლდება, ადრეაც ვსთქვი, რომ იაპონიის ახალგაზდა მეზღვაურები დიდ მოხერხებასა და გამბედაობას გამოიჩენენ, მეტადრე ნაღმიან გემებს მოიხმარებენ კარგად-მეთქი. როგორც ეს სიტყვა გამართლდა, ისე ეხლანდელი ნათქვამი გამართლდება“. ამის შემდეგ ნორმანი სწერს, კორეის დაპყრობა, სეულის დაჭერა და მეტადრე კორეის იმპერატორის ხელში ჩაგდება, პირველში მაინც, დიდს უპირატესობას მისცემს იაპონელებს. კორეელები ვერაფერი ჯარის-კაცები არიან, მაგრამ ტვირთისა და ბარგის ზიდვა კარგად შეუძლიანთ, ამიტომ, ეჭვი არაა, იაპონელები კორეელების ჯარს და ღონეს კარგად მოიხმარენ („ნოვ. ვრემია“).

„ნოვოე ვრემია“ შენიშნავს: ნორმანის ნათქვამი, მეტადრე ტაკუშენის თაობაზე, ყურადღების ღირსია.

სადაა ეხლა იაპონიის ფლოტი? ერთი საზღვაო საქმის მცოდნე კაცი გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ში სწერს: „ყველანი ჰკითხულობენ, სად იქნება ეხლა იაპონიის ფლოტიო. რაღა თქმა უნდა, ამნაირ დროს, იაპონელები მეტად საიდუმლოდ, ფარულად მოქმედებენ. ამიტომ იაპონიის ფლოტის ბინა ეხლა არც რუსებმა იციან, არც ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა. მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ იაპონელები ამ ჟამად რუსის ესკადრას უნდა ადევნებდნენ თვალ ყურს. მგონია, იაპონიის უმთავრესი ესკადრა ეხლა კიაუ-ჩაუსა და კუნძულ კვეიპარს შუა უნდა დადიოდეს და რუსის ორსავ ესკადრას, პორტ-არტურისას და ვლადივოსტოკისას, უდარაჯებდეს“. (რუს. ვედ.)

მეორე ბრძოლა პორტ-არტურთან. პარიზიდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: შანჰაიდან ცნობა მოვიდა, 29 იანვარს იაპონიის ესკადრა ხელ-მეორედ მოვიდა პორტ-არტურთან, კარგ ადგილას დადგა და პორტ-არტურს ზარბაზანი დაუშინა. იაპონელების ყუმბარები შიდა რეიდს უწევდნენ და კერძო კაცების სახლებს აზიანებდნენ. დაზიანდა აგრეთვე რუსის ბანკის შენობა და ერთი გემიც, რომელშიაც საავადმყოფო იყო გამართულიო.

იაპონიის ნავთ-სადგურ ხაკოდატეს დანგრევა. ლონდონიდან დეპეშა მოჰსვლიათ რუსულ გაზეთებს: იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად უარ-ჰყო ის ხმა, ვითომ რუსის კრეისერებმა ხაკოდატე დაანგრიეს და სულ-ერთიანად დასწვესო („მოსკ. ვედომ.“).

ბრძოლა ჩემულპოსთან. ჩვენ მოხსენებული გვქონდა, ჩემულპოსთან ბრძოლის დროს, რუსის კრეისერ „ვარიაგ“-ის უფროსმა რუდნევმა დიდი გმირობა გასწიაო: ჯარის-კაცი მეზღვაურები ნავებით ჩემულპოში გაისტუმრა, თითონ კრეისერზე დარჩა, ააფეთქა, კრეისერიც დაღუპა, თავის თავიცაო. ეს ცნობა ტყუილი გამოდგა. რუდნევის ცოლს პეტერბურგში დეპეშა მიუღია, თქვენი ქმარი ცოცხალი გადარჩაო („ნოვოე ვრემია“). ამას გარდა, დეპეშამაც, გვაცნობა, „ვარიაგის“ უფროსი და სხვა რუსის მეზღვაურები საფრანგეთის გემ „პასკალით“ შანჰაიში წავიდნენო. ეს ცნობა პირველად გერმანულმა გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-მა გაავრცელა.

ჩემულპოსთან ბრძოლის შემდეგ რუსის მეზღვაურები საფრანგეთისა, იტალიისა და ინგლისის გემებს შეეხიზნენ. იაპონიის ელ[illegible] ბარონ გაიაშის უთქვამს ლონდონში: 34 დაჭრილი [illegible] მეზღვაურისათვის ინგლისის კონსუ[illegible] [illegible]ნა, იაპონიის კონსულმა ჩემულპოში [illegible] [illegible]ება მიეცა ინგლისის კონსულისათვის, ეგ რუსი მეზღვაურები იაპონიის საავადმყოფოში გადაიყვანეთო. („რუსკ. ვედ.“)-

რუსისა და იაპონელის საუბარი. „მოსკოვსკი ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: „ნიცაში ერთი განათლებული, გერმანიაში ნასწავლი იაპონელი გვარად ომოტო შემხვდა. ლაპარაკი რუსეთ-იაპონიის დავაზე ჩამოვარდა. ომოტომ მითხრა: „1895 წელს რუსეთი ტყუილად გაერია ჩინეთ-იაპონიის დავაში. ვერც კი გამიგია, რუსეთმა რანაირად ჩაიდინა ასეთი დიდი შეცდომა!.. 1895 წ. თქვენ, რუსებმა, ისეთივე დღე დააყენეთ იაპონიას, რა დღეც რუსეთს ევროპის სახელმწიფოებმა დააყენეს ბერლინის კონგრესის დროს. ყველაზე საწყენი კიდევ ის იყო, რომ რუსეთი ვითომ ჩინეთს ექომაგებოდა,

---

გაღლოდ მთელ საქართველოს, აგრეთვე კერძოდ მთიულეთის მეურნეობას ჰხდის ფრიად უნაყოფოდ მამულიან გლეხისთვის და უმამულოსთვის უფრო საგრძნობლად. პირველი ვერ ასწრობს ან უსაქონლობით ან ხელმარტოობით მთლად გადახნას თავისი მიწები შესვენებულ ადგილების გარდა (მთაში ყვეარ ხარს აბამენ გუთანში და ორი კაცი სჭირდება. თითო ხარი მთელ სეზონს ღირს 6 მანეთად, კაცი კი 12 მანეთამდის). ახლა ნიადაგი რომ ხანგრძლივ გაყინული იყოს ან უდარობით ვერ შეებას გუთანი, რაც ხშირად აბრკოლებს ხვნას, მაშინ ხომ ბევრი დარჩება მამული მოუხნავი, ამას კი შედეგად მისი გაჭირვება მოჰყვება. გაჭირვების შესამცირებლად და არა სრულიად მოსასპობად, მთიულს რჩება ერთი სახსარი—მასცეს ნაკლებ მამულიანს სალალოდ მიწა. ამან თავისს მოსავალზე უნდა იგრძნოს ყველა დაბრკოლება, სტიქიონურ ძალებისგან წარმომდგარი. დამმუშავებელმა უნდა მოხნას, დათესოს, მომკას, გალეწოს და ჩააბაროს ნახევარი მოსავლისა ხორბალი და ჩალა თავისს „მებატონეს“. განა ამაზე კარგი დამამტკიცებელი საბუთი მიწის სივიწროვისა მთიულეთში კიდევ იქნება აი, რა პასუხი მიიღეს ერთის სოფლის მცხოვრებთ, რომელსაც მათ მამულების სივიწროვით შეწუხებულთ ითხოვეს „თავისუფალ“ ადგილებზე გადასახლება მანგლისისკენ. „ის ადგილები თქვენზედ მშრომელ ხალხისთვის გვინდაო“.

ზემო მთიულეთში, ქვიშეთის საბოქაულოში, ს. ნაღვარევის ზევით მგზავრი შეამჩნევდა მოტიტვლებულ მთებს. ამ ადგილის მცხოვრებნი უტყეობით ერთი-ორად მეტ გაჭირვებას ითმენენ, ვიდრე ქვემო მთიულეთში, რომელიც იწყება ფასანაურიდან არაგვის ჩამოყოლებაზე ანანურამდის. მაშ რითი გამოდიან იოლას ზემო მთიულნი ხანგრძლივ სასტიკ ზამთარში? იგინი, როგორც ჯავახნი და მოხევენი, შეშის მაგიერ ხმარობენ წივას. მაგრამ ეს საშუალება სრულიად ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას. ამიტომ ზემო მთიულნი იძულებულნი არიან იჯარით აიღონ ან ნარიყი რომელსამე ხევში ქვემო მთიულეთში, ან ტყე ამავე ნაწილში და ამნაირად გაატარონ ზამთარი. მათ მიერ შეშის გაყიდვაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, თუნდაც ჰქონდეთ ამისთვის ბაზარი. ყოველთვის და ყველას მოეპოვება სახსარი იჯარით ტყის აღებისა ფულის სიძვირეში? რასაკვირველია,—არა.

ჩვენ ცოტად თუ ბევრად დავახასიათეთ რამდენად უნაყოფოა მთიულეთში მეცხვარეობა და მიწის დამუშავება. მკითხველი იგრძნობდა, როგორ გაჭირვებას უნდა ითმენდეს მთიული უფულობით, თუ იგი მარტო ამ საწარმოვო საშუალებებზე დაამყარებდა თავისს იმედებს. მთიულმა ახალ ცხოვრების ზეგავლენით იგრძნო, რომ წავიდა სანატრელი დრონი მეცხვარეობისა. თუ მას წინად მოჯამაგირეობა და თავისი შრომის გაქირავება ან შრომაში მეზობლის სასარგებლოდ ქირის აღება სირცხვილად მიაჩნდა, როგორც თუშ-ფშავ-აფხაზებს ეხლაც მან ყველანი ესენი დაივიწყა და თავის ცხოველ-მყოფელ ჰავიან გორებიდან ჩამოეშო ბარად ცხოვრების ახალ წყაროს აღმოსაჩენად. მას საგრძნობლად ხელი შეუწყო ამ შემთხვევაში საქართველოს სამხედრო გზამ, თეთრი ზოლივით რომ მოიკლაკნება არაგვის ხეობაში, მაგრამ უნდა კი ვსთქვათ, რომ აქაც უსწავლელობის გამო გამოუცდელობა-შეუგნებლობამ უღალატა; ლაღი, გულუბრყვილო მთის შვილი ჩაუვარდა ახალ ცხოვრების გამოცდილ წურბელებს და ეშრეტინება მათ. საზოგადოებას ეხსომება შარშან გაზეთების მიერ გამოქვეყნებული და ყოველ დღე განმეორებული ამბები იმის შესახებ, თუ რა მცირე (4 მანეთი თვეში) ჯილდოს აძლევენ სამხედრო გზის მეეტლეებს, ან ამ ჯილდოს მიღების დროს რანაირად ეწვალებიან (ამ მეეტლეთა რიცხვში მთიულები საგრძნობელ პროცენტს შეადგენენ). ერთმა უმაღლესად განათლებულმა კაცმა კარგა ხანს დაატყვევა გზის მუშებისათვის დასარიგებელი 2000 მანეთი, შემდეგ დაჰკრა ფეხი და საზღვარ-გარედ გავარდა. მეორე უფრო სინიდისიერად მოიქცა, მათივე კუთვნილი ფული სადღაც მიაფარა და თავისს გმირულ სიცოცხლეს ტფილისის ერთ-ერთ სასტუმროში ბოლო მოუღო ამისთანა მაგალითებს ბევრს ჩამოვთვლიდით, მაგრამ სადღეისოდ ესეც კმარა.

გარდა სამხედრო გზისა მთიულები შოულობენ სამუშაოს ზაფხულობით მუხრანსა, წილკანსა და საგურამოში, ზამთრობით (კალოობის შემდეგ) ჩამოდიან დიღმამდის საბარავად და სამოჯამაგიროდ. ქალაქში კი, სადაც შრომას დიდი ბაზარი აქვს, ვერა ჰბედავენ, თუმცა ქალაქი დიღმიდან შორს აღარ არის. იმათ გაგებული აქვთ, ქალაქში ჩასულ კაცს რომ არ მოსტყუვდეს და სამუშაო იშოვოს. სწავლა უნდა, წერა-კითხვის და რუსულ ლაპარაკის ცოდნა. მთიულები კი ყველა ამას მოკლებულნი არიან, ამიტომ ქალაქისა ეშინიათ და თუ სოფლად სამუშაო ვერ იშოვნეს, ან იშოვეს და გაათავეს, ბრუნდებიან ისევ თავიანთ მთებში.

დ. პავლიაშვილი

იმის დამოუკიდებლობას იცავდა, ორიოდე წლის შემდეგ კი უზარმაზარი მანჯურია წაართო ცის ქვეშეთის იმპერიას. ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ ჩვენ ხალხს რუსეთის ჯარი სჭირდეს და სამაგიეროს გადახდა სწყუროდეს?".

„მოსკოვსკი ვედომოსტი"-ს კორესპონდენტსაც, რასაკვირველია, რიგიანი პასუხი მიუცია იაპონელისათვის.

ჩინეთში. ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ"-ს ჩიფუდან დეპეშით ატყობინებენ: კვანტუნიდან ამბავი მოვიდა, 10 ათასი შეიარაღებული ჩინელი კვანტუნის ოლქში მოქმედებსო. ჰფიქრობენ, რამწამს რუსის ჯარის დამაცხებას გაიგებენ, ჩინელები რკინის გზის დამცველ რუსის რაზმებს დაეცემიან და მთელ ოლქში დიდ აჯანყებასა და არეულობას მოახდენენო. („რ. ვ.").

„რუსკია ვედომოსტი" შეჰნიშნავს: ეს ცნობა არც თუ მაგრე რიგად დასაჯერებელია, რადგან „დეილი მეილ"-ს ტყუილი ამბები უყვარსო.

პეკინიდან ამბავი მოვიდა, ქვრივ დედოფლის საყვარელი უფროსი საჭურისი ლილინინი, მეფის მოადგილის იუანშიკაის ბძანებით მოჰკლესო. ეს ამბავი იაპონიის მომხრე პარტიის გამარჯვებას მოასწავებს, რადგან უფროსი საჭურისი რუსეთის მომხრე პარტიის მეთაური იყო. („რ. ვ.")

რუსული გაზ. „ნოვოსტი" სწერს: „იაპონელების სიმარჯვემ მთელი ყვითელი მოდგმა დააყენა ფეხზე. ამბავი მოდის, ჩინეთის ხალხი მეტად აღელვებულიაო. ხუნხუზები უფრო მხნედ მოქმედებენ და ეჭვი არაა, მანჯურიისა და ამურს ახლო მეტად შეაწუხებენ რუსეთის ჯარსა".

რუსეთი და გერმანია. ვოლფის სააგენტო იუწყება: თუმცა ფრანგულ გაზ. „ფიგარო" არწმუნებს რუსეთს, გერმანია ორპოფად იქცევა და უფრო იაპონიას თანაუგრძნობსო, გერმანული გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ"-ი მაინც სწერს: „ფიგარო" ვერ დაამტკიცებს თავის ნათ[illegible]ო. გერმანიის ერი დინჯ[illegible]ა და მიუდგომლად უცქერის საქმესაო. („მოსკ. ვედ.").

„რუსკია ვედომოსტი"-ს სწერენ ბერლინიდან: „28 იანვარი. ომის დაწყებამ და ზარბაზნების ჭექა-ქუხილმა პირველში მეტად აღელვა აქაური ხალხი, მაგრამ გერმანელები მალე დამშვიდდნენ და ეხლა უბრალო ცნობის-მოყვარეობით-ღა ჰკითხულობენ ომის ამბებს. გაზეთები კიდევ სავსეა დეპეშებით, ყავახანებიც სალამოობით გაჭედილია ხალხით, მაგრამ ეხლა გერმანელები ომის ამბებს გარდა, სხვა საქმეებზეც ახერხებენ ლაპარაკს. მთავრობამ გამოაცხადა, გერმანია სრულ ნეიტრალიტეტს დაიცავსო და ამით აღელვებული ხალხი მალე დაამშვიდა. მართალია ბირჟა დიდ განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ ბირჟის ზარალი მაგრე რიგად ბევრ ხალხს როდი აწუხებს. ეხლა ბერლინში ყველანი ამ აზრს დაადგნენ: რუსეთ-იაპონიის ომს შორიდან თვალი ვადევნოთ და ჭკუა ვისწავლოთო. ერთი გერმანელი მეზღვაური სწერს: „გერმანია თავის ფლოტის გადიდებას ჰფიქრობს, ამიტომ რუსეთ-იაპონიის ომი ჩვენთვის დიდად სასარგებლოა. ეხლა ჩვენის თვალით დავინახავთ და კარგად გავიგებთ, რანაირი გემები უფრო სასარგებლო და გამოსადეგიაო". საკვირველია, რომ წესისა და რიგის მოყვარული გერმანელებიც-კი ამტკიცებენ, ომის გამოცხადებამდე სამხედრო მოქმედების დაწყება სულაც არ არღვევს საერთაშორისო უფლებასა და ჩვეულებასაო... ვილაცამ გამოიანგარიშა, 108 ომში მხოლოდ 8 ომი დაიწყო ფორმალურის გამოცხადების შემდეგაო.

ოსმალეთი და რუსეთ-იაპონიის ომი. გერმანულ გაზ. „ცაიტ"-ი იუწყება: რუსეთ-იაპონიის ომის ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოსმალეთის ხალხზეო. თუმცა სტამბოლში ელოდნენ ომსა, მაგრამ მაინც ყველას ძალზე გაუკვირდა, როცა იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადა. გავლენიან პოლიტიკოსთა წრეებს ეშინიათ, ვაი თუ ეხლა ინგლისი და იტალია მაკედონიის საქმეში გაერივნენ და უფრო დიდი რეფორმებიც მოახდინონ ბოლგართ სასარგებლოდაო. („რ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ ტფილისიდან ჯარის გაცილების დროს, კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. გ. ს. გოლიცინს, უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნია ხელმწიფე იმპერატორისათვის. ამის პასუხად თავ. გ. ს. გოლიცინს, როგორც ოფიციალურ გაზ „კავკაზ"-იდან სჩანს, შემდეგი უმაღლესი დეპეშა მოსვლია:

„გულითადათ ვმადლობ კავკასიის ჩემ სახელოვან ჯარებს იმ გრძნობისათვის, რომლებით აღფრთოვანებულნი არიან და რომლებსაც მიცხადებენ აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა მე-34 პოლკის ახლად შედგენილ მესამე ბატალიონის შორეულ-აღმოსავლეთში გაგზავნის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ გმირი კავკასიელები ყოველთვის ერთგულნი იქმნებიან თავიანთ სახელოვან წინაპართა ანდერძისა. ნიკოლოოზ"

◆ ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო განყოფილების მმართველმა ბ-ნმა ფედოროვმა დეპეშით შეატყობინა გუშინ, 6 თებერვალს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკის, რომ **რუსეთმა უარი განაცხადა** ქალაქ სან-ლუიში გასამართავ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზეო. ბ-ნ ფედოროვი ამის გამო სთხოვს ხსენებულ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს თავ. გრუზინსკის განკარგულება მოახდინოს, შეჩერებულ იქმნას კავკასიიდან ექსპონატების გაგზავნა ამერიკაში. 6 თებერვლამდე ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე გაჰგზავნა ოდესაში 10 დიდი ყუთი ექსპონატებით სავსე, წონით 64 ფუთი, და უკვე დამზადებული იყო დეპეშის მიღების დროს 6 ყუთი. გუშინვე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა განკარგულება მოახდინა, შეაჩერონ ექსპონატების გაგზავნა. როგორც ვიცით, გამოფენაზე რუსეთის განყოფილების გასამართავად გადადებული იყო 400,000 მან. აქედან კავკასიაში ექსპონატების მოსაკრებად გადაიდო 7500 მან., რაც უკვე დაიხარჯა.

◆ „რუსეთის დეპეშათა სააგენტო"-ს ცნობით, რომელიც ჩვენს გაზეთში უკვე დაიბეჭდა, ნათქვამი იყო, რომ მთავრობის განკარგულებით მოისპო „კვალის" გამოცემაო. ოფიციალურ „კავკაზ"-ში კი გამოცხადებულია მოისპო „კვალი" და მისი დამატება „ჯეჯილიო".

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა თავ. შასალსკიმ გუშინ, 6 თებერვალს, დეპეშით შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, განსაკუთრებულ საბჭოს სხდომები, რომელსაც დავალებული აქვს რუსეთში **მეღვინე-მევენახეობის** გამაუმჯობესებელ საშუალებათა პროექტის შემუშავება, დაიწყება ხუთშაბათს, 12 თებერვალსაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ აღძრა საკითხი ტფილისში კიდევ **სამის აფთიაქის** გახსნის შესახებ, ერთის—დიდუბეში, მეორისა—ნავთლუღში და და მესამისა ვერაზე. ამის გამო ტფილისის გუბერნატორი შეეკითხა ტფ. საქალაქო გამგეობას, რომელმაც უპასუხა, ამ ახალ აფთიაქების გახსნა სასურველიაო.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ უნდა იქმნას საზოგადოებისა და ტფილისის საბაღოსნო სკოლის **მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა**, დანიშნულია სამშაბათს, 9 თებერვლისათვის

◆ **ჩვენ გვწერენ**: „ნოვო-ალექსანდრიაში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ბ-ნმა ქურდიანმა, რომელსაც მიანდეს წელს დენდროლოგიის კითხვა, 27 იანვარს წაიკითხა პირველი ლექცია ამ თემაზედ. Біологическія особенности въ древ. городахъ." ლექცია ყველას მოეწონა და ახალგაზრდა ლექტორი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს."

◆ ამ დღეებში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდა"-ს გამგეობამ თხოვნით მიჰმართა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, მიაწოდოს ცნობა თუ სად და რა ფასად შეუძლია ამხანაგობას შეიძინოს გაზაფხულის პურის თესლი. ამხანაგობას გადაუწყვეტია შეიძინოს ასეთი პურის თესლი 100 ფუთი და დათესოს იგი ქუთაისის მაზრის ქვემო ნაწილში, ხონისაკენ. გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შეატყობინა „კოლხიდა"-ს ამხანაგობის გამგეობას, რომ პურის თესლი გარჩეული და კარგის თვისების ამხანაგობას შეუძლია შეიძინოს ვორონეჟის გუბერნიაში ხლუდოვის მამულში, ფუთი 1 მან. 50 კაპ. ადგილობრივ. თუ ამხანაგობა მოისურვებსო, სწერს ხსენებული საბჭო, შეუძლია საზოგადოების შუამავლობით გამოიწეროს თესლი ვორონეჟის გუბერნიიდანაო.

◆ 4 თებერვალს, დესიმონოვის მოედანზე, გლუშკოვის სასტუმროში, იპოვნეს მოკლული ყაზახის მაზრის მცხოვრები ქარიმ-ჰასან-ოღლი, რომელიც მეჯიბინეთ იყო ბ-ნ ბოლოტინთან. გამოძიება სწარმოებს.

◆ 6 თებერვალს, ტფილისის პოლიციის მე-8 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას უკიდურესი მდგომარეობა რიგის ქუჩისა და დესიმონოვის მოედნისა. ბოქაული სწერს, ეს ქუჩები ისეთ ნაირად არიან მონგრეულ-მონგრეული, რომ იქ მოძრაობა დაუზარალებლად შეუძლებელია და ამიტომ განკარგულება მოახდინეთ მათ მოსაკირწყლავადაო.

◆ რადგანაც დიდმარხვის დაწყებისა გამო ტფილისის ქალაქის საყასბოზე საქონლის დაკვლა შედარებით ძალიან შემცირდება, გუშინ საყასბოს გამგემ მიჰმართა თხოვნით ტფილისის ქალაქის გამგეობას წასულ წლებსავით წელსაც საყასბოს ბეითლებს მორიგეობით მიეცეს ორორი კვირა დასასვენებლად, ფერშლებს 8 დღე, ხოლო დანარჩენ მოსამსახურეებს—თითო კვირა.

რუსეთის ქრონიკა

◆ „იუჟ. კრაი"-ში დაბეჭდილია ხარკოვის გუბერნატორის განკარგულება: „ქალაქ ხარკოვის ყველა მცხოვრებს ვსთხოვ, ნუ მიიღებენ მონაწილეობას ხალხის ქუჩა-ქუჩა სეირნობაში, როგორც ეს ამ უკანასკნელ ორ დღეს ხდებოდა, რადგან ეს ცხოვრების ჩვეულებრივს მშვიდობიანს მიმდინარეობას არღვევს და ქალაქში მოძრაობას და მისვლა-მოსვლას აფერხებს. ყველას ვსთხოვ, დღეს, წირვის შემდეგ თავის საქმეს დაუბრუნდეს".

◆ „ოდეს. ნოვ." იტყობინება შემდეგ ამბავს: „გაზეთ „ნოვოე ვრემია"-ს გამომცემელმა ცნობილ ფელეტონისტს დოროშევიჩს სთხოვა, პეტერბურგში გადმოდი და ჩემ გაზეთში ითანამშრომლეო. პირობას ორის წლით დაგიწერ და წელიწადში 48 ათას მანეთს მოგცემო. თუ ეხლანდელ პირობაში „ნეუსტოიკა" გიწერიათ—მაგასაც გადაგიხდიო. დოროშევიჩმა უპასუხა, რადგან „ნოვოე ვრემია"-ს მიმართულება არ მომწონს, ამიტომ მაგ გაზეთის თანამშრომლობა არა მსურსო.

◆ გაზეთი „ნოვი კრაი", რომელიც პორტ-არტურში გამოდიოდა, მოისპო. („რუსსკ. ვედომ.")

◆ მოსკოვის გაზეთების გამოანგარიშებით, ომის დაწყებიდან 1-ლ თებერვლამდე ომის საჭიროებისათვის მოსკოვში შეუგროვებიათ სულ 3.040.000 მანეთი.

◆ დონის თავად-აზნაურებმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, დონის როსტოვში უნივერსიტეტი დაგვიარსეთო. ამისთვის თავის მხრით შემოუწირავთ 30 მან.

◆ გაზეთი „სიბირ. ჟიზნ" სწერს: უკანასკნელ დროს ქალაქ ტომსკში მანათიანი და სამ მანათიანი ქაღალდის ყალბი ფული გავრცელდაო. ეს ფული ისეთის ხელოვნებით და კარგად არის გაკეთებული, რომ მისი ნამდვილ ფულისგან გარჩევა ძალიან ძნელია. ჰფიქრობენ, ეს ფული იაპონელებმა გაავრცელესო.

◆ ამ დღეებში გათავდა იმ კომისიის მუშაობა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განეხილა პროექტი საერო განათლების სამინისტროსა და უწმ. სინოდის მოღვაწეობის გაერთიანებისა სახალხო განათლების საქმეში. კომისიას თავმჯდომარეობდა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი, ხოლო წევრებად იყვნენ ორისავე უწყების წარმომადგენლები. უწმ. სინოდის წინადადება იყო: სამუდამოთ აეკრძალოს ადგილობრივ საზოგადოებათ, სამრეწველო დაწესებულებათ და აგრეთვე კერძო პირთ და კერძო საქველმოქმედო საზოგადოებათ თავისი ხარჯით სახალხო სკოლების გახსნა. იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც ჰსურთ დახმარების აღმოჩენა სახალხო განათლების გავრცელების საქმისათვის, უწმ. სინოდის აზრით, ნება არ უნდა ჰქონდეთ თავის ნებით აირჩიონ სკოლის ესა თუ ის ტიპი, როგორც ეს ამ ჟამად არის, არამედ ამ საკითხის გადაწყვეტა უწმ. სინოდისა და საერო განათლების სამინისტროს ნება უნდა იყოსო. კომისიაში სასულიერო უწყების ამ წინადადებამ დიდი კამათი გამოიწვია. უმრავლესობა იმ აზრის ყოფილა, რომ ასეთ წესებს საერობო გუბერნიებში მაინც ადგილი არ უნდა ჰქონდესო. საბოლოოდ ამ ფრიად საყურადღებო სადაო საგნის გადაწყვეტა საერო განათლების სამინისტროს დაევალა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ჩვენი დაუღალავი მუშაკი ბ. ვალ. გუნია თავის ახალს 3 მოქმედებიანს პიესას „ნატეხილ ხიდს", რომელიც ქართულმა დასმა ხუთშაბათს ავტორის საბენეფისოდ წარმოადგინა, „თანამედროვე დრამას" უწოდებს, მე-კი, ბოდიშს ვიხდი, ვერ გავიგე, რატომ არის ეს დრამა „თანამედროვე"? მიტომ რომ მესამე მოქმედებაში ნიკო კაჟიანი (ბ. გუნია) თავის ცოლს ლიზას (ქ. კარგარეთელი) მივარდება, მუშტი-კრივს იწყობს და დახრჩობას უპირებს, თუ იმიტომ, რომ მთელი პიესა სავსეა სოციოლოგიურ, პსიხოლოგიურ, ბიოლოგიურ და სხვა „ლოგიურ" ბაასით?

აი დრამის შინაარსი.

ნიკო კაჟიანი და ლიზა რვა წელიწადია, რაც ჯვარდაწერილები არიან; ნიკოს ძალიან უყვარდა და ეხლაც გატაცებით უყვარს თავისი ახალგაზრდა ცოლი; ლიზას ქმარი არც ჰყვარებია, არც უყვარს,—ლიზას მხოლოდ მოსწონდა ახლად გადმოსული და მასწავლებლად დანიშნული ნიკო კაჟიანი, თანაუგრძნობდა მის აზრებს და მიმართულებას, პატივსა სცემდა მას, „როგორც მამას" და ასე ცოლად გაჰყვა.

ნიკო ბედნიერია, მადლიელი თავის ბედით და იღბალით: კარგი ცოლი, ორი მშვენიერი ბავშვი, რომელთაც იგი აღმერთებს, და პედაგოგიკა მას სრულიად აკმაყოფილებს და იგი ისეა გართული თავის სპეციალ საქმით – მასწავლებლობით და ცდიერებით, რომ ახალგაზრდა ცოლის გულის თქმა არ ესმის. ლიზას გულს ჯერ არ გაუხარია, იმას ჯერ არ უგრძვნია ბედნიერება, სიყვარული, მთელი მისი არსება-კი თხოულობს ამას. და აი რვა წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ ლიზას შეხვდება ძველი ნაცნობი, ახალგაზრდა, ლამაზი ვექილი ვასილი გორგაძე (ბ. სვიმონიძე) და „გაამუქებს" ლიზას სიცოცხლეს; ლიზას შეუყვარდება იგი და მცირეოდენი ბრძოლის შემდეგ დანებდება მას. კაჟიანის ცოლს სძაგს ტყუილი, აღარ შეუძლიან თავისი ქმრის გვერდით, მის ჭერ ქვეშ, ქმართან ერთად ცხოვრება, გამოუტყდება ქმარს თავის შეცოდებაში, განუცხადებს, რომ იმას და ვასილს ერთმანეთი უყვართ. ნიკო აღელვებული მივარდება ლიზას, წააქცევს ტახტზედ და დახრჩობას უპირებს, შემდეგ თავს ანებებს, იბარებს ვასილს და წინადადებას აძლევს მისგან გაუპატიურებული დედაკაცი ცოლად შეირთოს, რომ ამით დაიცვას მისი სახელი, რომ მისი ბავშვები თითით საჩვენებელნი არ გახდნენ. ვასილი უყოყმანობს, გადაჭრილ პასუხს არ აძლევს ნიკოს, აასრულებს მის წინადადებას თუ არა. მაშინ ლიზა მიხვდება, რომ ვასილს იგი თავისებურად უყვარდა და რომ მას არას დროს ცოლად არ შეირთავს. ლიზა გააგდებს ვასილს სახლიდან, ქმარს შენდობას სთხოვს და სახლიდან წასვლას აპირებს. „სად მიდიხარ, რას აპირებ"? ეკითხება ქმარი. „წავალ, ვიშოვნი რამე საქმეს, ბავშვების მომვლელად დავდგები სადმე", უპასუხებს ლიზა. არა, სხვათა შვილებს მოვლის მაგიერ დარჩი და შენ საკუთარ შვილებს მოუარეო, ეუბნება ქმარი, ხოლო გახსოვდეს, რომ მე შენ თავის დღეში ვერ გაპატიებ, შენ ჩემთვის ყოველთვის უცხო იქნები, ჩვენს შორის ხიდი ჩატეხილიაო.

ამით თავდება დრამა.

პიესა ძალიან გაჭიანურებულია, მეტის-მეტი ბევრი ლაპარაკია, ერთისა და იმავე აზრის განმეორება; მოქმედება, მოძრაობა ცოტაა. ჩემის აზრით, მეორე მოქმედება დრამისა სრულიად მეტია, იმის გამოტოვება პიესას არასავნებს. დრამა ურიგოდ არ იყო შესრულებული; ნიკოს როლი მობენეფისემ ძალიან კარგად შეასრულა. არა უჭირდა-რა აგრეთვე ქ-ნთ ქარგარეთელს, გაბუნია-ცაგარელს (ლიზას დედა) და ბ. სვიმონიძეს.

ვ. ს—ი

დღეს, 7 თებერვალს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი გამართავს წარმოდგენას ჩვენის სცენის მეორე ხარისხოვან არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსის საბენეფისოდ. წარმოდგენილი იქნება „სამშობლო". კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ პატივი სცეს სცენის ამ დაუღალავ მუშაკთ და ბლომად დაესწროს მათ სასარგებლოდ დანიშნულ წარმოდგენას.

ხვალ უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართება. რეჟისორის ბ-ნ აკაკის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ჩვენის სცენის იშვიათის სტუმრის ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით აკაკისავე „თამარ ცბიერი".

წერილი ბაქოდან

ქართული საღამო

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ორს თებერვალს გაიმართა აქაურ საკრებულოს დარბაზში ჩვეულებრივი საღამო „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. საღამო შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან—ქართულ წარმოდგენისა, საკონცერტოსა და ქართულ ევროპიულ ცეკვა-თამაშისაგან.

ქართული წარმოდგენა დანიშნული იყო საღამოს 8 საათზე, მაგრამ 9 საათზე ძლივს მოახერხეს დაწყება. მანამ წარმოდგენას დაიწყებდნენ, ბ-ნ ფალიაშვილის მომღერალთა გუნდმა შეასრულა რუსულად ჰიმნი. წარმოადგინეს განსვენებულ ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". მონაწილეობას იღებდნენ, ქალ. კახიძის გარდა, სრულიად გამოუცდელნი სცენის მოყვარენი. ამიტომაც წარმოდგენამ საზოგადოთ ძრიელ უხეიროდ ჩაიარა. მართალია, დამსწრე ქართველები ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ მოთამაშეებს, მაგრამ ეს უფრო ქართულ გულ-კეთილობას უნდა მივაწეროთ, ვიდრე თვით წარმოდგენის ღირსებას.

მეორე ანუ საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნ ფალიაშვილის მომღერალთა გუნდი, პროფესსორი-სოლისტი ბ-ნი ვერჟბილოვიჩი, მესკრიპკე ქ-ნი პროკოპოვიჩი, მომღერალი ქ-ნი ჩოლოყაშვილისა და სხვ.

ბ-ნ ფალიაშვილის გუნდმა შეასრულა სულ სამი მოკლე სიმღერა, რომელთაგან ორი, საზოგადოების თხოვნით, კიდევ გაიმეორა. სიმღერების შესრულებას ბევრი რამ აკლდა და ყველაზე უმეტესს ხაძვილი ქართული კილო. საკვირველია, ასე მცირე მონაწილეობისათვის კონცერტში რისთვის შეაწუხეს იმოდენა ხალხი და ჩამოიყვანეს ტფილისიდან!

ქართულ მომღერალთა შემდეგ დაუკრა ვიოლონჩელზე გამოჩენილმა სოლისტმა, პროფესორმა ვერჟბილოვიჩმა და დაატკბო კიდევ დამსწრე საზოგადოება. ქ-ს პროკოპოვიჩმაც მშვენიერად დაუკრა სკრიპკაზე. შემდეგ ამისა გამოვიდა სცენაზე მომღერალი ქალი თ. ჩოლოყაშვილისა. მომღერალს სასიამოვნო ხმა ჰქონია, თუმცა დაბალი და შეუმუშავებელი. უკანასკნელი ნომერი კონცერტში ეკუთვნოდა ბ-ნ აწყურელს, მაგრამ, ზოგიერთ მიზეზისა გამო, იგი სრულებით არ დასწრებია საღამოს. მის ნაცვლად გასმეორებით იგალობა ქ-ნ ჩოლოყაშვილისამ.

საკონცერტო განყოფილების შემდეგ დაიწყო ჩვენი მამა-პაპური ლეკური და ევროპიული ცეკვა. თუმც აფიშაში გამოცხადებული იყო, რომ ლეკურში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი აწყურელი და სხვა გამოჩენილი მოთამაშენიო, მაგრამ ვაჟთა შორის ერთი ხეირიანი მოთამაშეც-კი არ აღმოჩნდა. ქ-ნ კახიძისა, რასაკვირველია, მშვენიერად თამაშობდა, მაგრამ მისი შნოიანი თამაშიც კავალრებმა წაახდინეს.

წრევანდელ ქართულ საღამოს ხალხი იმოდენი არ დასწრებია, რამდენიც წინა წლებში ესწრებოდა და, უეჭველია, შემოსავალიც შედარებით უფრო ნაკლები იქნება.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ წელს ბაქოელმა ქართველმა ინტელიგენტებმა უმტყუნეს თვისს ტრადიციას და კვლავინდებური გულ-მხურვალეობა ვერ გამოიჩინეს ქართულ საღამოს გამართვაში, რაიცა კარგად ემჩნეოდა თვით საღამოს. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ აქაური ქართულ საღამოს შემოსავალი დიდ შეღავათს აძლევდა ჩვენ სიმპატიურ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

წყალტუბელი.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება, თუ არ დაუმატა თვეში 25 კაპ.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარედ
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

„ცნობის ფურცლის" დამატებაში დაიბეჭდება სურათები „საქართველოს ეთნოგრაფია და კულტურა სურათებში", დასურათება დაიწყო გურიიდან. სურათები არის ფოტოგრაფიით გადაღებული და ხელით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. გარდა ამისა „მოამბის" ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

წერილი თელავიდან

გაზაფხულის მოახლოვება.—ფოსტა და გაზეთების მიღება.—ბიბლიოთეკის მოვალეობა.—კაცის მოკვლა.

ზამთრის შუაგულ—თებერვალს ბუნება მხიარულად მიეგება. მშვენიერი ამინდი დაიჭირა, ყინული მოლხვა და ცოტა-მაინც დაასველა დედამიწა, თორემ ამ ზამთარს თოვლი ძლიერ ნაკლებად მოვიდა. ამისდა მიუხედავად, ყინვები იყო, სიცივე 4—5° ჩამოდიოდა. დედამიწა გაჰყინა, ამ დროს განმავლობაში სოფლად მუშაობა შესწყდა. თუ ვინმე ტყეში გაჰბედავდა წასვლას ჭიგვის მოსაჭრელად, ესეც იშვიათად. ეხლა-კი, როგორც ტაროსს ეტყობა, გაზაფხული გვიახლოვდება, თუ ზამთარმა მარტში პირი არ იბრუნა. მუშა გარედ გამოვიდა და საქმეს მიჰყო ხელი. ქალაქის მცხოვრებთათვის სახეტაროა ასეთი ამინდები, სხვა არა იყოს რა, ფოსტას დროზე მიიღებენ, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდებიან, მერე ეხლა, როცა გაზეთის გვერდები სავსეა ომის ამბებით. საღამოობით ფოსტის კანტორა ხალხით ივსება, ელოდებიან ფოსტის გარჩევას. მანამდე-კი, დროს მოსაკლავად, დაიწყებენ დაპარაკს, ახალ-ამბებს, სიცილ-ხარხარს და ვინ იცის, გაზეთები რომ დროზე არ გაარჩიონ და მით არ დააკმაყოფილონ, რა არ მოხდება. აკი ამისთვის კანტორის უფროსმა წინად მაზრის უფროსს მიჰმართა და პოლიციელთა დასწრება ითხოვა ფოსტის გარჩევის დროს. თელავში ტფილისის გამოცემათ მხოლოდ მეორე დღეს საღამოთი ან მესამე დღეს ვიღებთ. ყოველ დღე 3—4 ომნიბუსი მოდის ტფილისიდან, ასე რომ ადვილად შეიძლება საღამოსი დილის გაზეთის მიღება. ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს თელავის ბიბლიოთეკამ და ისე მოაგვაროს საქმე, რომ მუდამ საღამოთი იმავე დღის გაზეთებს იღებდეს. ამით მკითხველთა რიცხვიც გამრავლდება, (ეხლა სულ 7-8 კაცი დაიარება ბიბლიოთეკაში) და, ჩვენის აზრით, მეტ წევრთაც შეიძენს.

სოფ. აკურიდან ამბავი მოვიდა, რომ 2 თებერვალს მათ და მომიჯნავე სოფ. ვანთის მცხოვრებთ ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროს ვანთელებს ერთი მოუკლავთ და ორი თუ მეტი დაუჭრიათ. უწინ ტყეზე ჰქონიათ უთანხმოება, მერე წყალზე მოსვლიათ ჩხუბი. ვანთის ხევიდან აკურაზე მიდის წყალი. ვანთელებს დარები დაუჩეხიათ და გაუფუჭებიათ. ამისთვის აკურიდან წასულან. ამათ არაფერი ჰქონიათ, ვანთიდან იარაღით გამოსულან და შეტაკება მოსვლიათ. იარაღი უხმარიათ და თან ასეთი უბედურება მოჰყოლია.

დ—შვილი

დაბა-სოფლები

ონი (რაჭა). ამ ერთი თვის წინათ ზემო რაჭაში ყოველ საზოგადოებაში მივიდა ბ. რაჭის მაზრის უფროსი და შეეკითხა თავმოყრილ საზოგადოებას: ვინ არის თქვენს სოფელში ავი კაცი, მავნებელი სოფლისა, დაასახელეთ, მას შესაფერ სასჯელს მისცემენ და სოფელი კი განთავისუფლდება ავი კაცებისგანო. მრავალ საზოგადოებაში დაასახელეს ვისაც ემარჯვება ღამე სხივი ცხენის გაქცუხება, და ან სხვა წვრილმან საქონელის მოპარვა. საზოგადოებისგან დასახელებული ცუდი ყოფაქცევის კაცები მაშინვე დააპატიმრა ბ. მაზრის უფროსმა. 21 იანვარს ონის სატუსაღოში დამწყვდეული გლ. მაისურაძე უცბათ სადღაც გაჰქრა. მაშინვე ბ. მაზრის უფროსმა აფრინა ყოველი მხრისაკენ პოლიციელები მაისურაძის შესაპყრობათ. პოლიციელებმა რამდენიმე დღე ეძიეს ტუსაღი, მაგრამ მისი კვალი ვერსად მიაგნეს. პოლიციელები მაინც არ იშლიდნენ მის ძებნას და ყოველი მხრით გზას უკრავდნენ, მაგრამ ამაოდ. ერთი კვირის შემდეგ, ერთ საღამოს, ტუსაღი მაისურაძე პოლიციაში შევიდა და გამოცხადდა. როდესაც ჰკითხეს, რისთვის გაიპარეო, იმან უპასუხა: ცოლ-შვილის ნახვა მომენატრა, ნებით არ გამიშვებდით ვიცოდი, გავიპარე, ვნახე ცოლშვილი და ეხლა კი გიახელითო. ამ ტუსაღს პატიოსან ტუსაღის სახელი უნდა ვუწოდოთ. იმედია, მაზრის უფროსის ამ განკარგულების მეოხებით ცოტად მაინც შემცირდება ავკაცობა და სოფლის ხალხი თავისუფლად ამოისუნთქებს. კარგს იზამს ბ. მაზრის უფროსი ქვემო რაჭაშიაც ისეთ განკარგულებას მოახდენდეს ავკაცების ასალაგმავათ, როგორიც ზემო რაჭაში მოახდინა.

ვ. ჭიჭინაძე

ქართული მუსიკა

ქართული ზეპირი მუსიკა აგერ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადია, რაც ევროპიულ სამუსიკო ნიშნების (ნოტების) საშუალებით შემკობა-შემოსვას ელირსა. ამ დროს განმავლობაში ბევრი დაიწერა, ცოტა დაისტამბა და, ავად თუ კარგად, ასრულებულ იქმნა კიდეც საზოგადოების წინაშე. ცხადია, ყოველგვარ ქართულ სიმღერას აქვს თავისი ქმნილება-არსებობის მიზეზი, მიზანი, მნიშვნელობა და მოთხოვნილება ცხოვრებაში. ყველა მათგანი გვისურათებს ამა თუ იმ საგნისა ანუ პირადისადმი მისწრაფებას. ხალხის გენიოსობით შექმნილი სიმღერა, შეიძლება თხოულობდეს მეცნიერულად განვითარებას, მაგრამ გადაგვარება და დამახინჯება მისი ცუდ ნიადაგზე დააყენებს მის შნოს, სინამდვილეს და მნიშვნელობას.

წარსულის წლის 22 დეკემბერს ტფილისის საკრებულოს დარბაზში მოვისმინე რუსულს, იტალიანურს და ებრაულს სიმღერათა შორის, რამდენიმე ქართული ხმებიც, რომელთა შორის უმეტესი ჩემი ყურადღება მიიქცია სიმღერამ „ინდი მინდი ფერად შინდი". ეს არის არშიული სიმღერა ორი ტენორისათვის ხოროთი. აქ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედა ვსთქვა ისტორიული ჩამომავლობა მისი.

ძველ დროში დიდებულთ, ბატონიშვილებს, თავადიშვილებს ახლდათ აზნაურნი, მსახურნი და სხვა კარის კაცნი. ისინი შეიკრიბებოდნენ, ბაასობდნენ, ლხინობდნენ და მღეროდნენ. აი, ამ „ინდი მინდი"-ს სიმღერას იწყებს ერთი ბატონთაგანი პირველის ხმით, მას მიზდევს მეორე დიდებული მოძახილით და ამ ორსავე ხმებს მხარს აძლევენ შესაფერის ხმათა შემწეობით ხან-და-ხან ბანები (მხლებლები). ამ ორი ხმის მიმოხვრა ისე მშვენიერად არის შემკობილი, რომ მისი დაწუნება სამუსიკო მეცნიერებასაც არ შეუძლია. ეს არის ნამდვილი დუეტი. ბანებს, როგორც მხლებლებს და აღმასრულებლებს ბატონთა სურვილისა, მიმართავდნენ იგავის სიტყვებით: „ინდი მინდი ფერად შინდი, ამოვრინდი ამობრწყინდი, განმინათლე თვალთა ბინდი" და სხვ. „ინდი მინდი" იგი მინდა, რომელსაც აქვს ფერი შინდისა, ამოვრინდეს, ამობრწყინდეს, განმინათლოს თვალთა ბინდიო და სხ. ეს სიტყვები, წარმოთქმული სიმღერით პირველ და მეორე ტენორის ანუ დამწყებისა და მოძახილის მიერ გრძნობიერად, დარბაისლურად და კოხტათ სწორეთ სასიამოვნო და ტკბილი მოსასმენია. შემდეგ ამისა პირველი ტენორი, გახარებული, დაიმედებული მიზნის მიხწევაში შემოსძახებს მარტო (solo) მაღლა და მაგარის ხმით, (forte) განაგრძობს კარგა ხანს არშიული სიტყვებით, გათავებისას მას შეუერთდებიან ბანები და მით გათავდება დუეტი.

ბ-ნ ფალიაშვილს სიმღერა „ინდი-მინდი" გადაუკეთებია ოთხხმაზე. კრინის (soprano) ზილის (contralto) გამყივანის (tenore) და ბანისათვის (basso) რომელშიაც დუეტის შნობა დაირღვა, სიტყვების მნიშვნელობა გაუგებარი შეიქნა, რადგანაც ქალებიც „ინდი მინდის" გაიძახიან და კაცებიც. ვინ ვის ეარშიყებოდა, ვინ ვის უბრძანებდა, ვის სურდა „ფერად შინდი" და ვინ იყო აღმსრულებელი ბატონის სურვილისა ყველა ესენი სიბნელის მორევში ჩაინთქა. არ ვიცი, რა საჭირო იყო დუეტს ოთხ-ხმაზე გადაკეთება. განა დუეტის ადგილი არ აქვს მუსიკაში? პირიქით, უპირატესი. ხასიათი, ორიგინალობა, თავისებურობა, თვით არსებობა, სინამდვილე ხალხური მუსიკისა მტკიცედ უნდა იყოს დაცული, თუ გვინდა, რომ ქართული მუსიკა იყოს ნამდვილათ ქართული და არა რაღაც ფანტაზიური. ქართული სიმღერების დამწერს დიდი სიფრთხილე მართებს. ის უნდა იძიებდეს, იკვლევდეს: ვინ, სად და რომელს სოფელში არიან განთქმულნი მომღერლები, თორემ ერთსა და იმავე სიმღერას გაიგონებთ, სრულიად გადაკეთებულს და დამახინჯებულს. ჩემ მიერ დაწერილი „ინდი მინდი", რომელიც უკვე დაბეჭდილია, გადმომცეს თავადთ ჯაბა, ვახტანგ და ტელემაკ გურიელებმა, რომელთაც მტკიცედ და შეუბღალავად შენახული აქვსთ ძველი კილო. იმათი „ინდი მინდი" და სხვა მრავალი სიმღერები განთქმულია ყველგან, თუმცაღა თუ არ მაღალს საზოგადოებაში, იშვიათად გაიგონებთ მათ ტკბილს და მწყობრს სიმღერებს. შესახებ სიმღერის „ინდი მინდი"-სა მე ამით ვათავებ ჩემს მცირე შენიშვნას, ხოლო სხვა იმ საღამოის პროგრამის სიმღერებზე მერმე ვიტყვი ცოტა რამეს. ბ-ნ ფალიაშვილს მშვენიერად შეუსწავლია თეორია მუსიკისა. მისს ორკესტრში ყველა დასაკრავებს (ინსტრუმენტებს) ხელოვნურად აქვს შემკობილი და დაცული გარმანიული კავშირი, დამოკიდებულება და განწყობილება ერთმანერთს შორის, მაგრამ თვით სიმღერის ორიგინალობა და ხასიათი გადაგვარების გზაზე დგას. ამისათვის ვურჩევ მეგობრულად, დაუკვირდეს სიმღერების სინამდვილეს და ისე აწარმოვოს ქართული მუსიკის საქმე, რომელიც მხოლოდ მაშინ მიახწევს თავის მიზანს.

ფილიმონ ქორიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 თებერვალი

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტროს მმართველს პლესკეს უმაღლესად ებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრად იყოს და ფინანსთა სამინისტროს მმართველის თანამდებობისაგან დათხოვნილ იქმნას.

მოსკოვი. ჩიჩერინი გარდაიცვალა.

6 თებერვალი

დიაკოვარი. ამბობენ, ალბანელებმა ოსმალელთა ერთი ბატალიონი ამოჟლიტესო. შემსიფაშა დაჭრილია. აჯანყებულ ალბანელთა რიცხვი 30 ათასამდე ადის და ბევრიც ემატება.

სერბია არწმუნებს სახელმწიფოებს, მშვიდობიან პოლიტიკას დავიცავო.

სოფია. („კორესპ. ბიურო") ბოლგარიამ სამხედრო წესები შემოიღო ოსმალეთის საზღვრის რაიონებში 30 კილომეტრის მანძილზე, რათა ოსმალეთში არ შეუშვას მეამბოხეთა ბრბოები.

ბერლინი. იმპერატორი ხმელთაშუა ზღვაში მიდის; ჯერ გენუას მივა და იქიდან მალტას. წასვლის დღე ჯერ არ არი დანიშნული, რადგან დედოფალი უქეიფოდ არის; ექიმების რჩევით ისიც იმპერატორთან ერთად მიდის.

იშიმი. დილის $2^1/_2$ საათზე მიწა სუსტად იძრა.

სოფია. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ნაჩევიჩი სტამბოლს წავიდა, რათა ოსმალეთის მთავრობას აცნობოს, რომ ბოლგარიის მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკას დაიცავს და ეწინააღმდეგება რევოლიუციონერთა მოქმედებას.

პეტერბურგი. სახელმწიფოს სეკრეტარი კოკოვცევი ფინანსთა სამინისტროს მმართველად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 30 იანვარი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,20	
ბერლინისაზე 100 მარკაში	$46,02^1/_2$	
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50	
ლონდონისაზე ჩეკები	95,05	
ბერლინისაზე "	46,30	
პარიზისაზე "	$37,72^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	$5-6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$93^1/_2$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	$92^1/_2$	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$353^1/_2$	გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	291	"
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	250	"
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182	"

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.. სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ. (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სა-ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროვნისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დღეიდან „წერა-კითხვის საზოგადოების" „კედლის კალენდარი" და „საქართველოს კალენდარი" იყიდება ფას-დაკლებით

კედლის კალენდარი—55 კაპ.

საქართველოს კალენდარი—80 კაპ.

ვინც ორსავე კალენდარს ერთად იყიდის ტფილისში საზოგადოების მაღაზიაში, ორივე კალენდარი დაეთმობა 1 მან. 25 კაპ.

„საქართველოს კალენდარი". მშვენიერ ყდაში 1 მან. 25 კაპ. (უ. 0—1)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—28)

გამოვიდა და იყიდება

საბერძნეთის ძველი ისტორია,

პრ. შარლ ნორმანისა, ფრანგულიდან ნათარგმნი ვ. ლორთქიფანიძისა; 42 სურათით და ორის რუკით. ფასი ერთი მან.

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—2)

ქუთაისის საცდელ მინდორი ჰყიდის დამყნილ ხეხილს და ამერიკულ ბამბის თესლს ყოველ საქმის დღეს თვითონ საცდელ მინდორში (წყალ-წითელა) პარასკეობით და კვირაობით—საკუთარ საწყობში (ქუთაისი, ფრანგების ქუჩა, კნ. მიქელაძის შენობა).

ხსენებულ მასალის შეძენა აგრეთვე შეიძლება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდის" საწყობში (ბალახვანის ქუჩა, ამხანაგობის შენობა). (3—2)

სამიკიტნო დიდი პადვალი

ქირით მიეცემა თავისი ოთახითა იაფად, შიგ წყალი გამოყვანილია, ანჩისხატის უბანში, ბაგრატიონოვის ქუჩის კუნჭულში ახალ შენობაში, გიორგი კოწოწოვის მამულში № 10. ფასი ჰკითხეთ პატრონს ზემო სართულში 9—10 ს. დილით, და 5—7 ს. საღამოთი. (1—58—1)

ს ა მ უ რ ძ ა ყ ა ნ ო შ ი

ოქუმისა და ფუცხურის—აჩიგვარას

აფთიაქები იცემა იჯარით

ან ერთი მათგანი. ერთი მეორეს შუა არის გზა ტკეცილი ექვსი ვერსი მანძილი. მსურველთ შაუძლიანთ დაეკითხონ მეპატრონეს ოქუმში პრავიზორს გრ. ივანეს ძეს კანდელაკს—გრიგორი კანდელაკი, აგრეთვე საჭიროა გამოცდილი პრაქტიკანტი აფთიაქისა.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

იტყობინება, რომ ძაღლებზე დაწესებულ გადასახადს იღებენ როგორც სავაჭრო-სამეურნეო აგენტები თავიანთ უბნის კანტორებში, ისე გამგეობის შენობაში სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის კანტორაში, ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე. (ნ. 3—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კ ი ო ს კ შ ი,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ენთხი	1	—
რძე, მისივე	1	50

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. კანვერტზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ა ვ ს ა რ ქ ი ს ო ვ ი ს

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზასადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—2)

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის

გ რ ე ნ ა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძ მ. პ ა ს ხ ა ლ ი დ ი ს.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი.** ვიღებთ შემოკვეთილებას მომავალ წლებისთვის, 15 აპრილამდის.

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—41—1)

ს ა ფ ა ბ რ ი კ ო ს ა წ ყ ო ბ ი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—121)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ აყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების" ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—91)

Дозв. ценз. Тифлисъ 6 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.